

ჩვენს ქვეყანაში

სადაც,

სამართალი

არაა, ან

სადაც

არაა

link



საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველო


საარჩევნო ადმინისტრაციის  
საქართველოს  
საარჩევნო ადმინისტრაციის

რუსულად შედგენილი ნაბატებით  
შეზღვევისა და ინტეგრირების წინასიტყვაობით

საარჩევნო  
ადმინისტრაცია



2007





საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა  
 საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის  
 გამომცემლობა

სახელწოდება: კეთილი მომენტები  
 ავტორი: ვახტანგ კახიანი  
 რედაქტორი: მარია ვარაძე  
 დეზაინი: ირაკლი შანიანი  
 წიგნის დასრულება: ზღაპრული და ანტიკური  
 ანტიკური დასრულება: წიგნის დასრულება  
 ნახატი: ზღაპრული და ანტიკური  
 ავტორის პორტრეტი: ანტიკური  
 დასრულება: ნაწილი  
 © 2007 პირველი გამოცემა, გამომცემლობა Link, თბილისი  
 ვაშლი, თბილისი  
 დაბეჭდილი და აკონია წიგნების

AS101K

ISBN 978-9941-9014-0-9

საქართველოს  
 ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

## სარჩევი

### ორი წინასიტყვაობა

ზურაბ კიკნაძე, ამბები ერთ კაცზე და სხვადასხვა კაცებზე ...	9
ინგრიდ დებრავე, თავდაყირა სამყარო .....	15

### ამბები

გამომგონებელი კაცის ამბავი .....	21
ერთი კაცის ამბავი .....	25
უბედური კაცის ამბავი .....	29
მარტოხელა კაცის ამბავი .....	33
გულშავიწევი კაცის ამბავი .....	37
კეთილი კაცის ამბავი .....	41
ფრთხილი კაცის ამბავი .....	45





ძუნწი კაცის ამბავი .....	49
ნახევარკაცის ამბავი .....	53
ამბავი კაცისა, რომელსაც სამშობლო ძალიან უყვარს .....	57
შურიანი კაცის ამბავი .....	61
დღეგრძელი კაცის ამბავი .....	65
ამბავი კაცისა, რომელმაც კარგად ივაჭრა .....	71
მეოცნებე კაცის ამბავი .....	75
ამბავი კაცისა, თავი რომ დაკარგა .....	79
ამბავი კაცისა, რომელმაც თავისი ნება ქარს მიაბარა .....	85
ამბავი კაცისა, რომელსაც სიცოცხლე უყვარდა .....	89
ამბავი კაცისა, თავი რომ გაიბატონა .....	93
ამბავი კაცისა, თავი რომ ვერ გაიცნო .....	97
ამბავი კაცისა, რომლის ადგილას სიცარიელე დარჩა .....	101
ამბავი კაცისა, რომელიც ყველას ეგონა, რომ არ იყო .....	105
ბიოგრაფია და შემოქმედება .....	109

# მნიშვნელოვანი განცხადება



ზურაბ კიკნაძე  
ინგრიდ დეხრავე



ՆԱԳԻՆՆՈՒ ՆԵՄՈՒՆԻ

ՆԱՍԴԵՆ ԵՆ

ԼԵՆՆԱ(ԵՆԼԵՆՆԱ)

ՆԱՍԴԵՆ



მსურდა, ეს შესავალი იმაზე ვრცელი არ გამოსულიყო, ვიდრე ამ წიგნის უმცირესი იგავი. იგავთა შესავალი თავად იგავი უნდა ყოფილიყო.

10

ამ წიგნში ადამიანი გველაპარაკება სიბრძნის გადაცემის თუ დიპლომატიის ძველთაძველი იგაეური ენით, ვკითხულობთ იგაეებს... ეს არა მხოლოდ სათქმელის გამოხატვის ენარული მეთოდია, არამედ მისი ბუნებრივი შინაგანი მეტყველება, რომელსაც ვერ ახშობს ყოველდღიურობა, რუტინა... ძველი სიბრძნე ამბობს, რომ კაცობრიობას სძინავს, ის ცხოვრობს არა იმ სოფელში, სადაც უნდა ცხოვრობდეს და სურს ცხოვრობდეს, ადამიანები ჰგვანან იმ კაცს, რომელიც სიბნელეში დაკარგულ ნემსს მზის სინათლეზე ეძებს, და როცა ზანგამოშვებით კაცობრიობა ფხიზლდება ძილისგან, ახლა ის ეძებს იმ დაკარგულ სოფელს, სადაც მოიპოვებს თავის ნამდვილ არსებობას, იმ ჭეშმარიტებას, რაც მისი ცხოვრების წესი უნდა იყოს.

რა არის იგავი? იგავით იგი ეძებს ამ სინამდვილეში დაფარულ თუ არყოფილ სხვა სინამდვილეს...

ის ეძებს თითქოს სარკის უკანა მხარეს, ეძებს რაღაც სხვას, საპირისპიროს.

არის იგავი, რომელიც თუმცა შეფარვით, მაგრამ მაინც პირდაპირი გზით

გვიმხელს სიბრძნეს.

და არსებობს იგავი, რომელიც ვითარების, ურთიერთობის აბსურდამდე დაყვანით გვაიძულებს, აბსურდს იქით დავინახოთ რაღაც არაჩვეულებრივი, ამ სიტყვის გაუცვეთელი მნიშვნელობით, რასაც შეგვიძლია ქვემარტება ვუწოდოთ. ცდილობს, გვითხრას რაღაც, რასაც სხვაგვარად თქმულს ვერასოდეს მოვისმენდით, რაც არასოდეს მოგვაფიქრებოდა. მაგრამ უცხო ფიქრს თუ განცდას იგავმა დააკავებინა ადგილი.

ასეთ იგავეებს ვკითხულობთ ამ წიგნში.

მიწიერი ლოგიკა ვერ გააგებინებს ერთ კაცს [ერთი კაცის ამბავი], რატომ არის იგი ერთი (ეს მისი შინაგანი თვითგანცდაა), რატომ არის მხოლოდ თვითონ და, მის გარდა, არც ერთი ანუ სხვაც თვითონ არ არის.

ეს არის მისი სადარდებელი, კაცს, რომელიც უარს ამბობს თავის განუმეორებლობაზე, უნიკალობაზე, ერთადერთობაზე, მრავალი ძიების შემდეგ „ესიზმრა მის გარდა ყველა თვითონ იყო“, და შეზარა.

„მის გარდა ყველა თვითონ იყო“, ვუტრიალებთ ამ ფრაზას, მაინც ვერ შევდივართ მის შიგნით, რადგან აბსურდია ან საშინელებაა, კომმარული სიზმარი, იმაზე უფრო საშიში, ვიდრე აბსოლუტური, გაუსაძლისი (თუ ბოლომდე



გაფიზრებთ ამას| მარტოობა, განცდა იმისა, რომ ერთი და ერთადერთი ხარ, იგავში დასკვნაა იმის საჩვენებლად, რომ „ერთი კაცი“ ერთია და ორი არ არსებობს, ის არის (ჰგიეს) აქ და ამქამად ეს არის მისი უნიკალობის ბედისწერა, რომ მის მაგივრად აქ და ამქამად, სხვა ვერაფერს დადგება, ბედისწერა, რომელსაც ვერ გაქცევა, და მაინც, გარბის ერთი კაცი და კვლავ თავის თავს, თავის ერთადერთს უბრუნდება.

იგვორი იგავის გმირია ან თავად მასში ხდება იგავი, ხდება კაცში, ამ ერთ კაცში.

იგავი აღბათ არის ის, რაც სხვა რაღაცას პ-გავ-ს, თუმცა არ არის ის რაღაც სხვა.

ბევრი რამის მსგავს არს სული კაცისა.

„რას ვამსგავსო სასუფეველი ღვთისა, ვამსგავსო იგი“ და ა.შ.

„რათ სარგებელ ეყოს კაცსა, უკეთეს სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თვისი იზღვიოს?“

კიდევ რას ვამსგავსოთ? ვამსგავსოთ კაცს, რომელმაც საკუთარი მამული გაყიდა, რათა მთელი სოფელი ეყიდა თავის მამულიანად, მაგრამ იმ თავის მამულში ვეღარ შევიდა, რაკი გაყიდული ჰქონდა (ჩვენც ვერ შევდივართ), და



ასე დაუსრულებლად, პარადიგმულად ყველგან და ყოველთვის, როცა... რას ვამბობ  
სგავსოთ სული ანუ რა ემართება სულს, რომელსაც ადამიანი კარგავს, მთელ  
სოფელს კი ყიდულობს?

13

ასეთი იჯავები თითქოს სილოგიზმებია - ზუსტი, მშრალი (სიმხურვალემდე),  
სტემატური, როგორც პოლცელის ფორმული, აღმასივით განუცვეთელი...

ზურაბ კაციაძე



ጠንቅታዊ ጥናት

ጥናት





ბელგიაიდან ახლად გადმოსახლებული ვიყავი საქართველოში. ერლომ ახვლედიანის შემოქმედებას რომ გავეცანი, ჩემი ახალი სამშობლოს ენას ვსწავლობდი და ქართველმა მეგობარმა მირჩია, ადვილი და თანაც კარგი საკითხავი ლიტერატურააო. ფასდაუდებელი მარგალიტი კი აღმოჩნდა. მეც, როგორც ლიტერატურის მთარგმნელმა, ცდუნებას ვერ გავუძელი და გერმანულისა და ფრანგულის შემდეგ ქართულ ენას შევეჭიდე.

2003 წელს ამსტერდამში ჩემ მიერ ნათარგმნი კრებული „ვანო და ნიკო“ გამოიცა, რომელსაც 2006 წელს კიდევ ერთი კრებული მოჰყვა. თარგმნის დროს სერიოზულად დამაფიქრა იმ ფაქტმა, რომ კრებულების ორიგინალური ქართული გამოცემა აღარსად იშოვებოდა. საქართველოში რამდენიმე წლის ცხოვრების შემდეგ თბილისში გამომცემლობა „Link“ დავაარსე, რათა ნიდერლანდური ლიტერატურა ქართულ ენაზე გამომეცა, მაგრამ დროთა განმავლობაში ორიგინალური ქართული ნაშრომების გამოცემაც დავიწყე. ასე გამოვეცი ხელახლა „ვანო და ნიკოც“.

ერლომ ახვლედიანი ცნობილია, როგორც უკიდურესად მოკრძალებული ადამიანი, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიას სწავლობდა. მოგვიანებით კი მოსკოვში სცენარისტის ხელოვნებას დაეუფლა. იგი



არის ავტორი საბჭოთა პერიოდის ისეთი კლასიკური ფილმებისა, როგორცაა გიორგი შენგელიას „ფირსმანი“, ოთარ იოსელიანის „აბრილი“ და სხვა. საბჭოთა ბარი სიტყვებისას სიმორცხვეს დღესაც ვერ მაღავს. ჩვეული მორცხვი სიცილით-ვე იქნევს ხელს იმ აზრზეც, რომ მისმა შემოქმედებამ ქართულ ლიტერატურაში სიახლე დანერგა.

K10.134

1957-58 წლებში თავის მოთხოვნებს ის ამზიციის გარეშე წერდა. მისი მკითხველები, თუკი ვინმე წარმოედგინა, ათ წლამდე ასაკის მოზარდები იყვნენ. ზოგაერთი ნაწარმოები საბავშვო წიგნის სახითაც გამოიცა, თუმცა იმდროინდელ რედაქტორთა უმეტესობა სხვა აზრის იყო, მაგრამ საბჭოთა ლიტერატურა სულ სხვა ჟანრს მოითხოვდა, ამიტომ საშარო საქმეს ყველა ერიდებოდა და ეჭრნა-ლებში მოთხოვნებს არ უბეჭდავდნენ. ერთადერთი, ვინც ერლომ ახვლედიანის მოთხოვნის დაბეჭდვა გაბედა, „ნიანვის“ რედაქტორი ნოდარ ღუმბაძე იყო. ამას მაშინვე დიდი ხმაური მოჰყვა - ავტორი და მისი თანამოაზრენი კინალამ „ხალხის მტრებად“ გამოაცხადეს.

საბჭოთა პროპაგანდის ურჩ ლიტერატორებს მხოლოდ 70-იან წლებში მიეცათ ამოსუნთქვის საშუალება. იმ პერიოდში რუსეთის აკადემიურ წრეებში ჩამოყალიბდა ახალი ფილოსოფიური სკოლა, რომელსაც ფილოსოფოსი მერაბ

საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



მამარდაშვილიც მიეკუთვნებოდა. ის თავის ლექციებში ხშირად მოიხმობდა ცი-  
ტატებს ერლომ ახვლედიანის შემოქმედებიდან. ასე შეიძინა ამ უკანასკნელმა სტა-  
ტუსი საკულტო მწერლისა, რომლის ნაწარმოებებსაც მთაბროვნე და ხელოვანი  
ხალხი ეტანება (რაც მას, სიმართლე რომ ითქვას, დიდად არ გაბარებია) და  
დაიმკვიდრა საკუთარი ადგილი ქართულ ლიტერატურაში.

წინამდებარე კრებული - „ამბავი კაცისა, თავი რომ დაკარგა“ - მოიცავს  
აქამდე გამოუქვეყნებელ მოთხრობებს, რომლებიც რამდენიმე „კაცისა“ და მათი  
თავგადასავლების შესახებ გვიამბობენ.

იშვიათად, რომ ქართულ ნაწარმოებებში ვერ ამოიკითხო, თუ სად ხდება  
მოქმედება. უმეტესობა გაეღწეოდა ისეთი ტიპური სანელებითა თუ დასახელე-  
ბებით, წეს-ჩვეულებებითა თუ პეიზაჟებით, რომ მკითხველს იოტისოდენა შანსს  
არ უტოვებს, შიდარი დასკვნა გამოიტანოს, ერლომ ახვლედიანის ნაწარმოები კი  
თვალშისაცემი გამოჩანს. წინამდებარე მოთხრობების პერსონაჟებსაც ვერა-  
ნაირ ჩარჩოში ვერ მოაქცევ, მათ ძნელად მოეძებნებათ სახასიათო შტრიხები,  
სამაგიეროდ აქვთ მკაფიო როლი ერთგვარ ტექსტუალურ კონსტრუქციაში, რო-  
მელიც ფილოსოფიური აზრითაა დატვირთული, ერლომ ახვლედიანის მოთხრო-  
ბებს ხშირად არაკებს უწოდებენ. ესაა ლიტერატურული ენარი, რომელიც გვერდს



უვლის პერსონაჟთა დახასიათებას და მკითხველს იმისკენ კი არ უბიძგებს, რომ თავი პერსონაჟების აღგალიას დააყენოს, არამედ საკუთარი საქციელის გააზრებაში ეხმარება, თითქოს სარკესი იტყვირებოდესო.

რაც შეეხება მოთხრობებს „კაცის“ შესახებ, აქ თხრობის ენა სისადავის გამო განმეორებებითაა დატვირთული, ხოლო დიალოგები პირდაპირ გადმოგვცემენ დედააზრს, მოქმედი გმირები თავადვე აგებენ საკუთარ პორტრეტს. უცნაური ისტორიები ინტერპრეტირებას მოითხოვს. პერსონაჟები კი არ ხსნიან კვანძს, არამედ კიდევ უფრო ხლართავენ, რათა ჩვენ ინტერპრეტირების ვხვით დედააზრამდე მივიდეთ. თემის ამგვარი მეტაფორული, იკონოგრაფიული მეთოდებით გადმოცემა მეტყველებს იგაგების პოეტურ, აღმოსავლურ ხასიათზე. თითოეული მოთხრობის გმირი წამოადგენს კალეიდოსკოპს ისეთი გრძნობებისა, როგორცაა ეჭვი, შფოთი, შიში და სხვა, ამგვარ უარყოფით გრძნობებს ერლომ ახვლედიანი ზომიერად აზაგებს იუმორით, რათა იმედი არ გაქრეს და ტკივილი უფრო ასატანი იყოს.

ჩვენი მთავარი გმირები ძალიან ახლოს დგანან ბუნებასთან, ისინი ერთგვარი გულუბრყვილობით გამოირჩევიან, ვინაიდან მათ ირგვლივ ბუნებრივად ხდება ნებისმიერი სასწაული, თითქოს ეს ყოველდღიური მოვლენა იყოს, ეს კი



მოთხოვნებს სიურეალისტურ ელფერს სძენს გლეხი მეზობელ სოფელში მიდის და რაც გზად შეხვდება, ყველას და ყველაფერს თავის ვირს ჰკიდებს სანამ ვირი მეტისმეტად არ დაიტვირთება და პატრონს არ სთხოვს, მეც ვირზე შემსვიო. გლეხი უყოყმანოდ უსრულებს თხოვნას.

„ცოტა გზა გაიარა და ვირმა უთხრა კეთილ კაცს: კეთილო კაცო, მეც შემსვი ვირზეო.“

კეთილი იყო კეთილი კაცი და ვირიც თავისი ტვირთით შესვა ვირზე.

„ცოტა გზა გაიარეს და მიადწიეს მეორე სოფელს.“

ერლომ ახვლედიანის მოთხრობებში დასკვნითი ნაწილი, როგორც წესი, სიურეალიზმის პიკს აღწევს. სიტყვა ყოველისშემძლეა - საერთო კანონზომიერებათა მიუხედავად, სიტყვებს ძალუძს შეუძლებელი მოახდინოს. მოთხრობაში კლიშესთვის ადვილი აღარ რჩება. ერლომ ახვლედიანი თავდაყირა აყენებს სამყაროს და გვაყერებს, რომ შეიძლება, ყოველივე სხვანაირად ყოფილიყო.

ინგრიდ დებრავე, გამოცემელი და მთარგმნელი  
ნიდერლანდურიდან თარგმნა დაეით ღოლიყაშვილმა

שְׁנֵי עָשָׂר מֵאָה וְשֵׁשׁ עָשָׂר



וְשֵׁשׁ עָשָׂר

וְשֵׁשׁ עָשָׂר



გამომგონებელი კაცი იყო. ყველაფერს იგონებდა. იგონებდა იმას, რაც  
ჩერ არ გამოუგონიათ და იმასაც იგონებდა, რაც უკვე დიდი ხანია  
გამოიგონეს. იგონებდა იმას, რაც არ ღირდა გამოგონებად და იმასაც იგონებ-  
და, რისი გამოგონებაც შეუძლებელია.

ერთობ გამოუსწორებელი კაცი იყო გამომგონებელი კაცი. ჩერ იყო და  
თავისი თავი გამოიგონა. შემდეგ ერთი მთა გამოიგონა და მთის ძირას ერთი  
ჭოხი გამოიგონა. შემდეგ მშვიდი ცხოვრება გამოიგონა და მთის ძირას ერთი  
ჭოხი რომ გამოიგონა, იქ დაიწყო ცხოვრება.

სხვებმა გაიგეს გამომგონებელი კაცის არსებობა. მივიდნენ, სთხოვეს მას,  
ჩვენც გამოგვიგონეო და გამომგონებელმა კაცმა ყველა ჩვენ გამოგვიგონა.  
ბოლოს მან უსასრულო გზა გამოიგონა და იმ გზას დაიდგა.







ገጽ ፩

ገጽ ፪

ገጽ ፫



ერთი კაცი იყო და სადარდელოც ერთი ჰქონდა - ერთი რატომღაც ვარს. ხან აქეთ ეცა - მაინც ერთი იყო, ხან იქით ეცა - ერთი იყო და ერთი. სხვები ამშვიდებდნენ - რა გადარდებს, კაცო, განა ყველა თითო-თითო არა ვართო?!

- არაო, უპასუხებდა, - ამდენი კაცია ჰყვეანად, რამდენიც გინდათ იმდენია და ნუთუ ჩემ გარდა, არცერთი იმათგანი არა ვარ მეო.

გაუღგა ვხას - იქნებ მეორეც ეიყოო.

ოცნებობდა: ერთი რომ ცას შევხედავდი, მეორე მიწას ჩავამტერებოდიო; ერთი რომ ვიმღერებდი, მეორე ვიცეკვებოდიო; ერთს რომ მეტკინებოდა, მეორე ვაქნებოდიო; ერთი რომ მოვკვდებოდი, მეორე დავრჩებოდიო...

დაიღალა და ჩაეძინა.

ესიზმრა: მის გარდა ყველა თვითონ იყო.

შეშინებულს გამოედევინა და საჩქაროდ დაბრუნდა თავის სოფელში.



אָהַרְבֵּי עֵינַי



לְשׁוֹן טָהוֹרָה

וְשׁוֹן זָכוֹרָה



უბედური კაცი იყო. უბედურზე უბედური და კიდევ უფრო უბედური, ახლობლები მივიდნენ და ჰკითხეს: როგორა ხარო?


- რაღა როგორა ვარო, - უბასუხა უბედურმა კაცმა, - ერთი მამალი მყავს. დილით გავიღვიძებ, მგონია, ჩემით გამოვიღვიძე, თურმე იმ მამალს არ გამოვუღვიძებიაარ?! ავღგები და დაეკლავ, სადილს მოვამზადებ, შევჭამ, დავიძინებ, დილით გავიღვიძებ, მგონია, ჩემით გავიღვიძე, თურმე იმ მამალს არ გაავუღვიძებიაარ?! ავღგები და დაეკლავ, სადილს მოვამზადებ, შევჭამ... მომბერდა სულ მუდამ ქათმის ხორცი.

- მართლა უბედური კაცი ყოფილხარო, - ამშვიდებდნენ ახლობლები. ახლა ნაცნობები მოვიდნენ და ჰკითხეს: როგორა ხარო?

- როგორ ვიქნები, - ამოიოხრა უბედურმა კაცმა - ერთი თბა მყავს, ძალზე შემაწუხა, ყოველ დილით ვყიდი და ყოველ საღამოს მიბრუნდება, აი, ხომ ხედავთ, ახლაც მოდის, ვერ იქნა და ვერ მოვიშორე.

- მართლა უბედური კაცი ყოფილხარო, - თქვეს ნაცნობებმა და წავიდნენ.

მოვიდნენ სხვები, სულ უცნობები. მათ გაეგონათ უბედური კაცის უბედუ-





რების ამბავი და იმიტომ მოსულიყვნენ.

- როგორა ხარო? - ჰკითხეს.

32

- ექ, - ხელი ჩაიქნია უბედურმა კაცმა, - ერთი ცოლი მყავს, ძალზე ვუყვარვარ, ძალზე მიყვარს, მაგრამ კაცნი ვართ და მხოლოდ სიყვარულზე ცხოვრება ვის აუგია. წავიყვან, წყალში გადავავტყებ, დიღას გავიღვიძებ და რას ვხედავ - გვერდით მიწევს და შეაღერსება, კიდევ უფრო ვუყვარვარ და კიდევ უფრო მიყვარს... ყოველდღე ამ გასაჭირში ვარ და შემდეგ კიდევ, ვისაც არ ეზარება, მოდის და შეკითხება - როგორა ხარო, გულს მიღონებენ, დარღს მახსენებენ...







პარტოხელა კაცი იყო. ერთ მშვენიერ დღეს შინ ერთი მამალი მიუყვალა. მწობელმა ჰკითხა: როგორია შენი მამალიო.

ამ კაცმა უპასუხა: კარგიაო, დილას მადვიძებს და სამუშაოზე აღარ მაგვიანდებაო.

სხვა მწობელმა ჰკითხა: რასა იქმს შენი მამალიო.

- ისეთი მამალი არსად იქნებაო, - უპასუხა, - შინ როცა ებრუნდება,

გემრიელ კერძებს მახვედრებსო.

- მამალი როგორა გყავსო? - ჰკითხეს.

უპასუხა საღამოობით ჩონგურს უკრავს და ზედ ტკბილად ამღერებსო.

- აბა, ერთი კიდევ გვითხარი შენს მამალზეო!

- ძმაკაცი შევიძინე, ნამდვილი ძმაკაცი. ამას წინათ ჩემმა მამალმა მგლები-საგან გადამარჩინაო.

მწობლების კითხვებს რა გამოლევს და კვლავ ჰკითხეს. როგორია შენი მამალიო.


- რაღა როგორ არისო, - უპასუხა, - წუხელ მე და მამალმა დავლიეთ.

ღვინო ბლოსმად გვქონდა, საკმელი - ნაკლებად. ძმაკაცობაზე მოგვივიდა დავა.





წავკინკლავდით და დანებზე გავისვით ხელი... შემდეგ უკლად მახსოვს რა  
მოხდა. დილას გავიღვიძე და რას ვხედავ - თევზზე მამლის ძვლები და ურჩია.  
კვლავ მარტოხელა დარჩა ის კაცი.





გულშეინცხი კაცი იყო. ყველაფერი ავიწყდებოდა.

ერთ იყო და წუბანდელი სიზმარი დაავიწყდა. შემდეგ ხელ-პირის დაბანა დაავიწყდა, შემდეგ აღარ ახსოვდა, ისაუბმა თუ არა და, ყოველი შემთხვევისათვის, რამდენჯერმე ისაუბმა. შემდეგ სამსახურში წასვლა დაავიწყდა და შინ დარჩა. შემდეგ ისიც დაავიწყდა, რომ შინ დარჩა და ხელმეორედ დარჩა შინ.

დაავიწყდა გულშეინცხ კაცს, ცოლი რომ პყავდა და მეორე ცოლი მოიყვანა, მაგრამ დაავიწყდა, პირველი გაეშვა. შემდეგ ისიც დაავიწყდა, მეორე ცოლი გაეშვა და მესამე მოიყვანა.

მხოლოდ ერთხელ გაახსენდა გულშეინცხ კაცს, გულშეინცხი რომ იყო - ყველა თავისი ვალი გაახსენდა. შეწუხდა გულშეინცხი კაცი, დიდხანს იხსენებდა თავის გულშეინცხოებას და როგორც იქნა, გაიხსენა.

და მას კიდევ უფრო მეტი დაავიწყდა, ვიდრე იცოდა.

ბოლოს, არაფერი დარჩა დასავიწყებელი გულშეინცხ კაცს და სიცოცხლაც დაავიწყდა.





Հ Ա Մ Ն Ի Կ Ա Ն Ի Կ Ա Ն Ի Կ Ա Ն Ի

Հ Ն Մ Ո Ւ Լ

Հ Գ Ե Ն Յ Ո

კეთილი კაცი იყო. ცოლიც კეთილი ჰყავდა იმ კაცს და შვილებიც. ერთი ვირიც ჰყავდა. ვირიც კეთილი იქნებოდა, ვირად რომ არ გაჩენილიყო.

ერთხელ კეთილი კაცი ერთი სოფლიდან მეორეში უნდა გადასულიყო. შეეჯდა თავის ვირზე და გაუდგა გზას.


ცოტა გზა გაიარა და შეხვდა ერთი მოხუცი. კეთილი იყო კეთილი კაცი და შესვა მოხუცი ვირზე.

ცოტა გზა გაიარა და შეხვდა ერთი ბავშვი. კეთილი იყო კეთილი კაცი და შესვა ბავშვი ვირზე.

ცოტა გზა გაიარა და შეხვდა ორი ქალი: ერთი ლამაზი და ერთიც ულამაზო. ორივე ვირზე შესვა.

ცოტა გზა გაიარა და ხედავს აქლემი წაჭყეულა, ტვირთი გვერდზე აგდია, იქვე ზის აქლემის პატრონი და ტირის. კეთილი იყო კეთილი კაცი და აქლემი თავისი ტვირთითა და აქლემის პატრონი თავისი ცრემლებით ვირზე დასვა.






ცოტა გზა გაიარა და ხედავს, გზის პირას ლოდი აგდია. კეთილი იყო  
კეთილი კაცი და ლოდზე ვირს აჰკიდა.

44

ცოტა გზა გაიარა და ვირმა უთხრა კეთილ კაცს კეთილთ კაცო, მეც  
შემსგი ვირზეო.

კეთილი იყო კეთილი კაცი და ვირიც თავისი ტვირთით შესვა ვირზე.  
ცოტა გზა გაიარეს და მიაღწიეს მეორე სოფელს.



36010E0



11501

12130

ფრთხილი კაცი იყო. ისეთი ფრთხილი, რომ შინიდან გასვლასაც ეშინოდა.

ამბობდა: შინიდან რომ გავიდე, ვაითუ ვინმე შემომხვდეს, ავალ შემომხედოს, წამეჩხუბოს, მცემოს... არ გავალ შინიდან.

ამბობდა: შინიდან რომ გავიდე, ვაითუ ქალი მომეწონოს, მასაც მოვეწონო, შემიყვარდეს და შემიყვაროს, ცოლობა ვთხოვო და ისიც დამთანხმდეს... არ გავალ შინიდან.

ამბობდა: შინიდან რომ გავიდე, ვაითუ ცოლმა საყვარელი მოიყვანოს, იალერსონ და ისიყვარულონ, მე კი არა ვიციოდე რა... არ გავალ შინიდან.

ამბობდა: შინიდან რომ გავიდე და შეილი მარტო დარჩეს, ასანთს გაჰკრას და ცეცხლს მისცეს სახლი, თავადაც შიგ ამოიბუგოს... არ გავალ, შინიდან.

ამბობდა: ვაითუ ჭერი ჩამოინგრეს და მეც შიგ მოვყვე, შინ რომ დაეჩრეთ,





↓ ج ح ح ح ا

ب ن ن ن ل

س ج ج ن ن ا

კაცი იყო, დიდი ფული ჰქონდა, არ ხარჯავდა, არ ხარჯავდა და ფულს მოზებურდა უქმად ყოფნა და ძუნწი კაცი თვითონ მიფლანგ-მოფლანგა, ეგრე იყო და მისი პატიოსნებით დიდ-დიდ თანხებთან ერთად კარგად წაიქეიფა. ნამცვეცობაზე სამუალო ფულებს უმასპინძლა, ნასუფრალზე ხურდაც მოიმაღლიერა.

ნაბახუსევზე მისი ერთგულება დაამდგრა.

სიყვარული ბანქოში წაიგო.

ვაჟკაცობა დააგირავა.

თანაგრაძნობა, ლმობიერება და ალერსი კამათელს გადააყოლა.

სულგრძელობა და მოთმინება ქრთამად მისცა.

ყველა სხვა წერილ-წვრილი ნიჭი გლახაკ და ყალბ ფულებს გადაუყარა.

ბოლოს, იმედად, იმ კაცისაგან ერთი გაცრეცილი თამასუჭილი შემოიჩინა.

იფიქრა, ამ თამასუჭით ძუნწი კაცის რაიმე უნარს გამოვიხსნიდიო, მაგრამ ისიც ქარმა აუფრიალა და გადაუკარგა.

და დარჩა ძუნწი კაცი მარტოხელი, უბატონო, ოხერ-ტიალი, მუთაქაში ჩატენილ-ამოკერილ-მივიწყებულ-გაუფასურებელი.







Ե Ն Լ Ն Յ Ն Կ Ն Ս Ո Լ

Ն Դ Ե Ն Յ Ո

ნახევარკაცი იყო.

ცოლიც ნახევარი ჰყავდა ნახევარკაცს და შვილებიც ნახევარ-ნახევარი  
ესხა.

ნახევრად ცხოვრობდა ნახევარკაცი. ნახევარი სიბარული ჰქონდა და მწუ-  
ხარებაც ნახევარი.

ერთხელ გაეღვიძა ნახევარკაცს და აღმოაჩინა, რომ მთელია. ყველაფერი  
გამთელელებულიყო მის გარშემო - მზეც, მთვარეც, ვარსკვლავებიც...

ცოლ-შვილიც გაუმთელდა ნახევარკაცს. დარდიც გაუმთელდა ნახევარკაცს.  
რა უნდა ექნა თავისი სიმართელისათვის, აღარ იცოდა.

აღრე, იმ ბედნიერ დროს, როცა ყველაფერი და ყოველი ნახევარ-ნახევა-  
რი იყო, საზრუნავიცა და საქმნელიც ნახევარ-ნახევარი ჰქონდა.

ახლა კი

საქმე უნდა გაესრულებინა.

ტკივილი ბოლომდე უნდა შეეგრძნო.

მწუხარებაცა და სიბარულიც სრულად უნდა აეტანა.

გული სხვისთვის მოლიანად უნდა გაეხსნა.





ამ საგონებელში ჩავარდნილ ნახევარკაცს ღრმა ძილით ჩაეძინა. როცა გაეღვიძა, სიხარულით აღმოაჩინა, არა მარტო მთელი, ამკერად ნახევარც აღარ იყო.

56

შეთხედია დარჩენილიყო ნახევარკაცი.

Ն Դ Ե Ն Յ Ո

Ն Ն Ս Ո Ն ,

Կ Ա Դ Ն Շ Ն Ս

Լ Ա Դ Դ Ա Զ Շ Ա

Դ Շ Ո Ն Ե      Դ Կ Ն Ն Կ Լ

აკვი იყო, სამშობლო ძალიან უყვარდა.

აკითხეს: მაინც როგორ გიყვარს სამშობლო?

უპასუხა: ძალიან მიყვარსო, მისთვის რას არ მოვიმოქმედებო.

აკითხეს: ვთქვათ, შეიტყვე, რომ შენს მოყვასს სამშობლო შენსავეთ არ უყვარს, რას უზამ?

უპასუხა: სულ ნაკუწ-ნაკუწ ავჭნი და ყვავ-ყორნებს გადავუყრი საჩიჯნადო.

აკითხეს: მის ლამაზ ცოლს რას უზამ?

უპასუხა: ხარკად დავისვამო.

აკითხეს: მის წვრილშვილს რაღას უზამ?

უპასუხა: სტამბულს მონებად დავყიდო.

აკითხეს: მის ეზო-კარს, ყანას, საქონელს და ყოველივეს, რაც მას ეკუთვნის, რას უზამ?

უპასუხა: გავუნაწილებ იმათ, რომელთაც სამშობლო ზემსავეთ უყვართო.



פנינו נא



נא

נא





კაცი იყო შურიანი, ყველასი და ყველაფრის შურდა, შინ იყო და შური  
ახრჩობდა, შინიდან გავიდოდა და შური თვალებს უბნელებდა და გზა-  
კვალს უბნედა.

ადგებოდა და დაწოლისა შურდა, თვალს გაახელდა და თვალის დახუჭვისა  
შურდა, მარცხნივ გაიხედავდა და მარცხნივ გახედვისა შურდა, სძულდა შურიან  
კაცს და სიყვარულისა შურდა, უყვარდა შურიან კაცს და სიძულვილის შურდა,  
დიდი შურით იყო შეპყრობილი შურიანი კაცი...

ერთხელ გადაწყვიტა, შურზე შური ეძია.

ყერ თევზის შეშურდა და ცურვა ისწავლა.

ფრინველისა შემურდა და ფრენა ისწავლა.

ძაღლის ერთგულებისა შემურდა და ძაღლივით ერთგული გახდა.

ცხვრის თვინიერებისა შემურდა და ცხვარივით თვინიერი გახდა.

ბოლოს ხის შემურდა, ერთ ადგილზე რომ იდგა და რომ მას მაგრილობე-  
ლი ჩრდილი ჰქონდა და რომ მას ნაყოფი ჰქონდა და რომ მისი ფოთლები  
შრიალეზდნენ და რომ მის ტოტეებზე ფრინველები ისვენებდნენ და ბუდეებს  
თხზავდნენ.





და შინიდან გავიდა შურიანი კაცი.

64

ბევრი იარა, მრავალი მწვანედ შეფოთლილი კორდი გადაიარა და ბოლომდე  
ლოს, მონახა მწირი, ხრიოკი ადგილი, ერთიე მოხედა თავის განვლილ გზას და  
დადგა. დადგა და მიწაში ფესვები გაიდგა, მერე მარადმწვანე ფოთლებით შეი-  
მოსა, ხოლო ნაყოფად ზეთისხილი მოისხა.

ახლაც იქა დგას შურისაგან დამცხრალი კაცი, დგას და შრიალებს.



ש ש נ ו ש א

נ ט ל

נ ו נ ז נ



ნუ მხრუნავთ ხეაღისათვის. რაშეთუ  
ხეაღემან იხრუნოს თავისა თვისთა.  
კმა არს ღღისათ მის სიბოროტე თვისი.  
(მათ. 6. 34)

კაცი იყო. ღამით მპარავმა ხვალინდელი დღე მოპარა.

დადარდიანდა კაცი, რადგან ხვალინდელ დღეს გაპყვა ხვალინდელი მზის ამოსვლა და ხვალინდელი მაღალი შუადღე. ხვალინდელი მშვიდი საღამო და ხვალინდელი ღამე. დამშვენებული სავსე მთვარითა და მოციმციმე ვარსკვლავებით.

ხვალინდელ დღეს გაპყვა იმედი ხვალინდელი ღღისა, ოცნება ხვალინდელ დღეზე, დღევანდელი ღღის მოგონება ხვალ და ყველა სიხარული და სიტკბოება განვლილ დღეთა ნაყოფსა ზედა.

ხვალინდელ დღეს გაპყვა მისთვის განკუთვნილი მომავლის დღეები.

დარჩა კაცი დღევანდელი ღღის ანაბარა.

სისხამ დილით წამოდგა კაცი სარეცლიდან, დახედა ტკბილ ძილში ჩაფლულ თავის ცოლ-შვილს, დღევანდელი ღღის სანთელი დაანთო და შინიდან გამოვიდა.





დღევანდელი დღის მზე ამოდისოდა, კაცის უკანასკნელი ამომავალი მზეაა და შეუდგა კაცი დღევანდელ დღეს.

ძაღლს მიეფერა:

საქონელი სოფლის ნახირს გააყოლა.

ეზო მოიარა, გარდვეული ღობე შეავსო, დადაბლებული აამალლი, ვენახი გასხლა:

ხეებს ხმელი ტოტები მოაშორა.

უფროსი ვაჟი დაასაქმა.

შუათანა დატუქსა.

უმცროსს ენა მოუჭლიჭა.

ცოლს თვალი ააჩიდა.

მეზობელს გადასძაბა, მეზობელმაც გადმოსძაბა.

დასაბარი დაბარა, გასათოხნი გაათოხნა, დასამყნობი დაამყნო, დასათესი დათესა, მოსამკელი მოიმკო, დასამარხი დამარხა, გასაცემი გასცა.

ვალს გაისტუმრა.

დადგა შუადღე.

კაცი ხის ჩრდილში ჩამოკდა დასასვენებლად.



მოსავლენარი მოაგონდა, დასავიწყებელი დაივიწყა, მოსანანიებელი მოინანიებულა  
ნია, სიხარულმა გაახარა, მწუხარებამ დაამწუხრა, შიშმა შეაშინა, სიცივემ შეამ-  
ცივნა, სიბოძმ გაათბო.

წამით გაუფლვა, ხვალინდელი დღე რომ აღარ ქეონდა და ნადველი მოაწვა.  
მყისვე წამოდგა, წამოიშართა.

ხოლო მერე

უფროსი ვაჟი შეაქო.

შუათანა დაისაქმა.

უმცროსს ამკერადაც ენა მოუჩლიტა.

ცოლს მოუაღერსა.

ზამთრისათვის შეშა დააბო.

დგებოდა საღამო.

აყეფდა ძაღლი.

სოფლის ნახირი შინ ბრუნდებოდა...

მის ეზო-კარს დამამკვრალი, მშვიერ-მწყურვალ მგზაერი მოადგა არგნით  
ხელში.

შეიპატივა, უმასპინძლა, ბუხარი დაუნთო, ფეხები დააბანინა, პური აჭამა.



ღვინო ასვა,

წაიღიღინეს, წაიმღერეს,

სტუმარი წამოდგა, წასვლა ინება,

მთელი ქალაბი სტუმრის გასაცილებლად აივანზე გამოეფინა...

დღევანდელი დღის მზე არ ჩასულიყო.

მოსულიყო წვიმა და წასულიყო წვიმა და ცა ცისარტყელით დამშვენებულ-  
იყო.

დამდგარიყო მაღალი შუადღე, თავისი მაგრილებელი ჩრდილებითა და  
მაკოცხლებელი ნიავით და არ წასულიყო.

დამდგარიყო მშვიდი საღამო და გალობდა შაშვი.

მერე სავსე მთვარეც ამოსულიყო და ციმციმებდნენ ვარსკვლავები.

მგზავრი არგნით ხელში თავის გზას მიუყვებოდა დასავლეთისაკენ...

დღევანდელი დღის სანთელი არ ჩამკრალიყო.

1 2 3 4 5 6



7 8 9 10 11,

12 13 14 15 16

17 18 19 20

21 22 23 24



ჩვენს სოფელში ერთი ჩვენი მოგვარე კაცი ცხოვრობდა. ადრე ამ-კაცსა ერთი მცირე კარ-მიდამო ჰქონდა ტყრუშული ღობით შემორჩეული. ხასხასამოლიან ეზოში მამაპაპისეული კოხტი ქოხი ედგა. ქოხის უკან ვენახი და ხეხილის ბაღი გაეშენებინა. ეზოს ერთ კუთხეში ჭა გაეთხარა, რომელშიც მუდამ ცივი და ანკარა წყალი ედგა. ეზოში შინაური ფრინველები და ცხოველები მრავლად დაუდიოდა, ხოლო ბომბორა ძაღლი ამ კარ-მიდამოს ერთგულად დარჩაობდა.

დილიდან, ეზოში მზის პირველი სხივი ჩამოვარდებოდა თუ არა, კაცი საქმეს შეუდგებოდა და საღამომდე მუხლჩაუხრელად შრომობდა.

ხოლო საღამოს, შრომისგან დაღლილ-დამაშვრალი კაცი და მისი ცოლ-შვილი კერიასთან მომყუდროვდებოდნენ, ჩონგურს ააქდებდნენ და ტკბილად, ხმაშეწყობილად მღეროდნენ.

ღამდამობით კი, როცა ვველას მშვიდად ეძინა, კაცი შორეულ ვარსკვლავებს ესაუბრებოდა, იქვე, ახლოს, გალობდა შაშვი.

ერთი სიტყვით, ჩვენს მოგვარე კაცს, თავისი კარ-მიდამო ჭირადაც მყოფნიდა და ღვინადაც.





მაგრამ ერთხელ, აღმათ, ბედი კარს მოადგა: ამ კაცმა თავისი მამული ერთიანად გაყიდა. გაყიდა ვაზიც და ხეხილის ბაღიც. ქის ცივი და აწყარა წყალიც და ხასხასა მოლიც ქობის წინ, სადაც შინაური ცხოველები და ფრინველები დაუდიოდა. გაყიდა თავისი ერთგული ძაღლიც. გაყიდა ეზოს ღამის ცა მოსაუბრე ვარსკვლავებითურთ... და შაშვის გალობაც გაყიდა.

სამაგიეროდ, აღებული თანხით ნახევარი სოფელი მოივაჭრა. მაგრამ საოცარი ის იყო, რომ მისი პატარა მამულიც იმ ნახევარ სოფელში აღმოჩნდა.

სათემოდ ყველანი გვიცხავდით ჩვენს მოგვარე კაცს. მაგრამ გულში გვშურდა მისი და შემთხვევა რომ მოგვეცემოდა, ამგვარი პირობით უყოყმანოდ დაგვიდიდით ჩვენ-ჩვენს მამულებს.

ერთი კი არის, ამ კაცს სიყვდილამდე ერთხელაც არ მოუნახულებია თავისი მამაპაპისეული ეზო-კარი, რადგან გაყიდა იგი... და ერთხელაც აღარ აღუბედავს ცისკენ ვარსკვლავებთან სასაუბროდ.



Հ Ա Մ Ս Ը Ն Դ

Յ Ն Ս Ո Ւ

Ջ Զ Է Յ Յ Ո

კაცი იყო, გამოუხსწორებელი მეოცნებე...

სავსე ოჯახის პატრონი, რაც დაოჯახდა, მის კერაში ცეცხლი არასოდეს ჩამქრალა, ჰყავდა სათნო და ლამაზი ცოლი, შვიდი ქალ-ვაჟი.

სტუმართმოყვარე იყო, ქვრივ-ობოლთა შემწუნარებელი, გულღმობიერი, მისგან ნაწყენი ამ სოფლად არავინ მოიძებნებოდა.

ტიროდა მოტირალთა თანა და უბაროდა მოხარულთა თანა.

გამრჯე იყო, შრომისმოყვარე.

ქამდა საკუთარი ხელით მოწეულ ნაყოფს.

ყველა უყვარდა და ყველის უყვარდა ადამიანს თუ პირუტყვს, ვაზსა თუ ხეხილს; მუხასა თუ სამყურას, წვიმასა თუ ქარს; ანკარა წყაროსა თუ ხავსიან ლოდებს, განთიადსა თუ მწუხრს.

და კიდევ ჰყავდა ერთი შავ-თეთრი კატა, ოღონდ აქამდე ვერ გაერკვია, შავი იყო ეს კატა თეთრი ლაქებით, თუ თეთრი იყო შავი ლაქებით.

მეოცნებე კაცი ძილის წინ სახლს დაივლიდა, მშვიდად მიძინებული ქალა-ბის სუნთქვას უურს მიუგდებდა და მერე თავის საწოლს მიაშურებდა, ლოგინ-ში ჩაწევბოდა, შავ-თეთრი კატაც მის ფერხით მოიკალათებდა და ჩაიძინებდა.





ხოლო თვითონ ხელებს თავქვეშ ამოიდებდა, ჰერისაყენ აღაპყრობდა მზერას და ოცნებაში გადაეშვებოდა ნეტა მარტო ვიყო, უთვისტომო, არაეინ მიყვარდეს და არაეის ვუყვარდე, სხვისი დარდი არ მადარდებდეს და სხვისი სიხარული არ მახარებდეს: გულქვა ვიყო, გაუტანელი, ცოდვის ვეტანებოდე და მით ვლალობდე: შურისმაძიებელი ვიყო და არაეის არაფერს ვპატიობდე, ჩემი ეშინოდეთ და ძრწოდნენ ჩემ წინაშე...

და ამ ნატვრა-ოცნებაში მასაც ჩაეძინებოდა.

იმგვარად მიედინებოდა მისი ცხოვრება, ოღონდ ოცნება არა და არ უსრულდებოდა.



Ն Ա Ղ Ն Ն Յ Ո

Ն Ն Մ Ո Ն Լ Ն ,

Մ Ն Յ Ո

Կ Ա Ղ

Ե Ն Ն Ն Կ Ն Ն

კაცი იყო, თავი დაკარგა...

გათენდა და კაცმაც გაიღვიძა.

დილიდანვე რაღაც სიცარიელე აქვდა, სიზმრიდანაც ვერაფერი გამოიტანა, გარდა შიშისა და სასოწარკვეთისა.


უგემურად წაიხეშა და მაშინვე შეუდგა ძებნას, ოღონდ არ იცოდა, რას ეძებდა.

ეძებდა ოთახის ბნელ და ნათელ კუთხეებში.

ეძებდა სარკეგაცირეცილ კარადაში, ახალსა და ძველ ტანსაცმელს შორის. ეძებდა განჯინაში, გაურეცხავ და გარეცხილ თეთრეულში, ეძებდა საწოლქვეშ დაგროვილ მტვერში, ეძებდა წიგნების თაროებზე, წიგნებში და წიგნებს შორის. ეძებდა საწერ მაგიდაზე დახვავებულ ნივთებში; ეძებდა უკრებში, გაყვიითლებულ, თავგისისაგან კიდევებდალრდნილ ხელნაწერებში, დასტა-დასტად შეკრულ ძველ წერილებში...

ამოძრავდა მოგონებებიც და ახლა მათში დაიწყო ძებნა იმისა, რაც დაკარგა, მაგრამ ის რაღაც მოგონებების მიღმა რჩებოდა...

მოწყურდა და წყალი შესვა.





იქნებ ქალის აღერსში დაყარვა, იქნებ ღალიტში, ანდა სულაც ერთგულე-  
ბაში.

იქნებ ქარში, ანდა წვიმაში, იქნებ მთვარიან ღამეში დაყარვა ის, რასაც  
ეძებდა, ანდა ვარსკვლავებს შორის.

იქნებ ამომავალი მზის, ანდა ჩამავალი მზის ფერებში ჩაიყარვა ის, რასაც  
ეძებდა.

რადაც ქანგები აფლერდა მისში, რადაც სიმღერები და ახლა იქ დაუწყო  
ძებნა.

ხედები ხედებს ცვლიდა მდინარის ჩაბურული ნაპირები: ველს შესეული  
ყაყაჩოების ყარი: უდაბური, ურწყული, დახეტქილი მიწა, მწვანედ შეფოთლი-  
ლი კორდები: ცივი, ნისლიანი მთები: ზღვა მღელვარე და ზღვა წყნარი.

ნაცნობი და უცნობი სახეები: მწუხარენი, მომღიმარნი, ჩაფიქრებულნი,  
პირდაპირი და ირიბი მზერით, ცოცხალნი და მკვდარნი.

წამოწეა, დაძინება სცადა, ძილი არ მიეყარა, თვალები დახუჭა და ჩაეცა სხე-  
ული, როგორც მიტოვებული სახლი შიდა მზერით მოიარა, რადაცას ეძებდა,  
ოღონდ არ იცოდა, რას, იქნებ ტკივილს ეძებდა, დაუნდობლად არაფერი სტკი-  
ოდა.

ქვეყნის კეთილდღეობა



დადგა საღამო. ნიაფი თხელ, გამჭვირვალე ფარდას არხევდა. კაცმა სავარძელი ფანჯარასთან მიდგა და ჩაფიჭრდა. მერე ხელებს დახედა და ეუცხოვნა ისინი,

83

ახლავდა მიხვდა, რომ თავი დაეარგა,  
ერთხანს სავარძელში იქდა.  
მერე წამოდგა და შინიდან გავიდა.  
კარი ჩარაზა.

მთელი საღამო ეძებდა კაცი თავის თავს. მთელი ღამე. ეძებდა ნაცნობ და უცნობ ქუჩებში. უკაცრიელ სანაპიროებზე. გაბრდღვიალებულ, ხალხმრავალ მოედნებზე. ყველა უმიზნოდ და ჩუმიად დადიოდა აღმა-წადმა, მხოლოდ მათი ფეხის ხმა ისმოდა.

კაცი ახვეა ამ ბრბოს.

გაველურებულ ბაღში მოხვდა. აქა-იქ, ფოთლებს შორის, მბეუტავი ნათურები თავის თავს ძლივს ანათებდა. ბაღშიც უამრავი აღამიანი ეძებდა თავის დაეარგულ თავს და მათ შორის იყვნენ თავის თავისაგან მიტოვებულნიც. ისინი ეძებდნენ ერთმანეთს ხელისცეცებით, სასოწარკვეთილი შეძახილებით, ოხვრითა და კვნესით.



ნელ-ნელა უჩინარდებოდნენ ადამიანები, სხეულისაგან დაკლილნი და დაღლილნი დაძვინჯებულნი სიბნელეს ერწყმოდნენ.

დაცარიელდა ბაღი და ბნელად აშრიალდნენ ფოთლები.

კაციც გამოვიდა ბაღიდან და მას ჩრდილივით აედევნა დიდი თეთრი ძაღლი. კაცი შინ ბრუნდებოდა.

მთელი გზა სახლამდე ძაღლი მისდევდა კაცს. შეჩერდებოდა კაცი და შორიახლო ძაღლიც შეჩერდებოდა.

როდესაც თავისი სახლის კარს მიაღწია და მოიხედა, ძაღლი აღარსად ჩანდა.

კარი ოდნავ შეღებული დახვდა.

შევიდა ოთახში და სინათლე ჩართო.

ფანქარასთან მიღებულ სავარძელში ვიღაც უცნობი იქნა. მან უცხოვად გამოხედა შემოსულს. ხალხი მერე თავის ხელებს დააჩერდა.

თხელ, გამჭვირვალე ფარდას ნიავი ოდნავ არხევდა.

მიხვდა კაცი, რომ თავად აღარ იყო. მის ადგილას სარკვეგაცრეცილი ძველი კარადა იდგა.

თენდებოდა.



ნ ა ჯ ე ნ ა ნ ი

ნ ა ს ი ს ა,

ს ა მ ა რ ე ა ს

მ ა ნ ა ნ ი ს ი ა ნ ა

ქ ა ნ ა ს ა ნ ა ნ ა



ამჟამად წაწილია, ხომეგრეც აქაი ნება ქარს მიიბარა.



ცეცხლი. სეველია. თოვლი მუნდარო,  
სული ნიაგ-ქარისად,  
რომელნი ჰყოფენ სიტყვასა შისსა.  
[ქს. 148. 8]

კაცი იყო. თავისი ნება ქარს მიიბარა.

ქარმა ბუმბულივით აიტაცა და მიწას გადმოახედა.

ნეტარებაში მყოფი სეტყვასავით დაამძიმა და ძირს დაანარცხა.

ქვევით კი ქვა დახედა.

ხან ცეცხლით გამოაწრთო. ხან წყალს მიანდო. ხან ბეწვის ხილზე გაატარა.

ხან ფართო გზაზე დააბრკოლა.

ხან შეხვედრით გაახარა. ხან განშორებით დაამწყურა.

ყველასგან მიტოვებული ნაგავში გარია.

უსამართლობის სიმწარე აგემა. სამართლიანობის სიტყბოებით აავსო.

შიშით შეაშინა. სიმშვიდით დაამშვიდა.

ოცნებით ვალში ჩააგდო. დღითიდღე შრომა-გარჯით გამოასყიდინა.

ცოდვაში გარია. მერე სინანულის ცრემლით სული მოუღბო და სიწმინდეს აზიარა.



ამბიუ ვეის, სომხურ ნოვო ნებ ჩს პიპია.



სიმდიდრით სიძუნწე შეაძულა, სიღარიბით ხელგამლილობა შეაყვარა  
სასოწარკვეთისაგან გათომილი სასოებით შემოსა და გაათბო.

იგი ენებების წყლულები სიყვარულით მოუშუშა.

ურწმუნოებით დაცემული რწმენით აღადგინა.

ბოლოს კი, გვალვისას, ღრუბლად აქცია და წვიმად მოიყვანა.

88

Ն Գ Ե Ն Յ Ո

Ն Ս Ո Ն ,

Կ Ա Ե Ն Ս

Լ Ո Ս Մ Ս Ե Ն

Դ Կ Ն Կ Ե Ն

უინ იყო, შინ ყოფნა უყვარდა; გარეთ იყო, გარეთ ყოფნა უყვარდა.  
მარტოობაც უყვარდა და ხალხში ყოფნაც უყვარდა.  
ლხინში იყო, ლხინში ყოფნა უყვარდა; ქირში იყო, ქირში ყოფნაც უყვარდა.  
დარდაც უყვარდა და უდარდელობაც უყვარდა.  
წვიმაში იყო, წვიმაში ყოფნა უყვარდა; მზეზე იყო, მზეზე ყოფნა უყვარდა.  
ჩრდილიც უყვარდა...  
მთვარიანი ღამეც უყვარდა და უმთვარო ღამეც უყვარდა.  
ვარსკვლავებიც უყვარდა...  
საქმე ჰქონდა, საქმეში ყოფნა უყვარდა; უქმად იყო, უქმად ყოფნა უყვარდა.  
მთაც უყვარდა და ბარიც უყვარდა.  
ბავეც უყვარდა...  
ახოც უყვარდა...  
კლდეებიც უყვარდა და ნისლეებიც უყვარდა.  
ქარიც უყვარდა და ქარიშხალიც უყვარდა.  
ნიავეც უყვარდა...  
ფოთლების შრიალიც უყვარდა.



მდინარეს უყვარდა და ქალაც უყვარდა,  
ზღვაც უყვარდა და წყაროსც უყვარდა,  
ხავსიანი ლოდებაც უყვარდა,  
იაც უყვარდა...  
ვარდიც უყვარდა...  
ენძელაც უყვარდა...  
გვირილაც უყვარდა...  
შაშვი უყვარდა და მერცხალიც უყვარდა,  
თავისუფალი იყო და თავისუფლება უყვარდა,  
ტყვეობაში იყო, ტყვეობაც შეიყვარა,  
ჩანჩქერაც შეიყვარა...  
ცისარტყელაც უყვარდა...  
აქ იყო და სიცოცხლე უყვარდა,  
იქ წავიდა და სიკვდილიც შეიტკბო,  
...საფლავის ქვაზე ეწერა კაცო იყო, სიცოცხლე უყვარდა.



Ն Դ Է Ն Յ Ո

Ն Ս Ո Լ Ն,

Մ Ն Յ Ո

Կ Մ Դ

Դ Ն Ո Է Ն Ս Մ Ը Ն



# მეხუი ქაქისა, სუი ხაძ ვაძმაყონა.



კაცი იყო ხარმაცი, ყველაფერი ეხარებოდა.

გალეიძებაც ეხარებოდა და დაძინებაც ეხარებოდა.

შეოდა და ქამა ეხარებოდა, წყურთოდა და წყლის დაღვევა ეხარებოდა.

მარჯვნივ წასვლა ეხარებოდა და მარცხნივ წასვლაც ეხარებოდა.

შინ იყო და შინ ყოფნა ეხარებოდა, გარეთ იყო და გარეთ ყოფნა ეხარებოდა.

ხმის ამოღებაც ეხარებოდა და ჩუმად ყოფნაც ეხარებოდა.

ლურსმნის დაჭედებაც ეხარებოდა და ლურსმნის ამოძრობა ხომ ეხარებოდა და ეხარებოდა.

ბოლოს მობეზრდა სიხარმაცე და თავი გაიბატონა.

და ამ დღის შემდეგ, სისხამ დილიდან შუალამემდე კაცს საკუთარი თავისგან მოსვენება აღარ ჰქონდა.

ხოლო თავად გულზელდაყრეფილი და ფეხიფეხგადადებული ღრმა სავარძელში იყდა, ყალიონს აბოლებდა და ახალ-ახალ ბრძანებებს თხზავდა.





ገጽ ፩

ገጽ ፩

ገጽ ፩

ገጽ ፩

ገጽ ፩ ገጽ ፩



ჩადგან ვინც ისმენს და არ ასრულებს სიტყვას,  
იმ კაცს ჰგავს, რომელიც უშუბრის თავის  
ნაბდეილ სახეს სარკეში. ღონისძავს თავის თავს,  
წავა და ავიწყდება, როგორი არის.  
(იაკობი, I, 23-34)

კაცი იყო, თავი ვერ გაიცნო...

როცა კაცი იძინებდა, თვითონ იღვიძებდა.

როცა კაცი იღვიძებდა, თვითონ იღვა.

როცა კაცი იღვა, თვითონ იყდა.

როცა კაცი იყდა, თვითონ მიდიოდა.

როცა კაცი მიდიოდა, თვითონ მოდიოდა...

და მერე

როცა თვითონ ტაროდა, კაცი იცინოდა.

როცა თვითონ სიჩუმეს უსმენდა, კაცი ღიღინებდა.

როცა თვითონ სინათლისკენ მიილტვოდა, კაცი სიბნელეში შთანთქმას  
ლამობდა.

როცა თვითონ თავს სიმართლეს ეუბნებოდა, კაცი თავს იტყუებდა.





როცა თვითონ სინანულის განცდა ეუფლებოდა, კაცი გულს იქვავებდა და  
და კვლავ

100

როცა თვითონ შინ იყო, მარტოდმარტო, კაცი ბრბოსთან ერთად აღმა-  
წაღმა დაეხეტებოდა.

როცა თვითონ შორ ზღას აღგა, კაცი იქვე ახლომახლო დაბორილობდა...  
დაბოლოს, კაცი მოკვდა. თვითონ კი თავზე აღგა და დასცქეროდა მიცვა-  
ლებულს, მაგრამ ვერ იცნო თავი, ოღონდ სადღაც ენახა მისი სახე.



საქართველო

წიგნობა,

საქართველოს ეროვნული

საბიბლიოთეკო

სამსახური

კაცი იყო სიმდიდრის მოყვარული...

უველაფერს აგროვებდა: თქროსა და ვერცხლს, თვალმარგალიტსა და უძვირფასესი ბროლ-ფაიფურის ქურქკელს, საუკეთესო ავეჯს...

აშენებდა უმშვენიერეს სრა-სასახლეებს, თვალწარმტაც ბაღია-ბაღებს, წყალუბვ აუზ-შადრევნებს...

მან თავის საუფლოს მაღალი გაღაფანი შემოაფლო და სიკვდილამდე განცხრომასა და ფუფუნებაში ცხოვრობდა.

ხოლო როდესაც სიკვდილის მოახლოება იგრძნო, ამტვეყნად შეძენილის დატოვება დაენანა, თავის სულს ყოველივე პირწმინდად აკიოდა და მიწაში თან ჩაიყოლა.

მაგრამ ამტვეყნად მისი საუნჯე არავის დასჭირდა, ხოლო ამტვეყნად მის ადგილას სიყარიელელა დარჩა.







ნ ა ჯ ე ნ ე ა

ნ ა ს ი ს ა ,

ნ ა ე ნ ი ს

ნ ა ე ნ ს ე ა ნ ა ,

ნ ა ე ა ნ ი ა . . .



მოვედით ზემდა უოველნი მამურალნი და  
 გურთ-მომენი, და მე განჯისტურთ ოქტუბ  
 (მათე, XI, 28)

უენებოა და ამიტომ უწოდებენ არაჩას.  
 ღაო-მა.  
 დაო დე ბანი

○ იყო კაცი, რომელიც თავისთვის იყო და ყველას ეგონა, რომ არ იყო...  
 იყო ცა და მიწა, იყო ნათელი და იყო ბნელი, იყო მზე და მთვარე;  
 იყო ვარსკვლავები.

და იყო კაცი, რომელიც თავისთვის იყო...

იყო ცისკარი და მწყობრი; იყო ჩრდილოეთი და სამხრეთი, იყო აღმოსავ-  
 ლეთი და დასავლეთი, იყო წამი და საუკუნე; იყო საიხლოვე და სიმორე; იყო  
 მარჯვენა და მარცხენა...

და იყო კაცი, რომელიც ყველას ეგონა, რომ არ იყო, რადგან თავისთვის  
 იყო.

იყო სიყვარული და სიძულვილი; იყო ერთგულება და დაღიბი; იყო სასოება  
 და სასოწარკვეთა; იყო სიმწარე და სიტკბოება, იყო სიმშვიდე და მშფოთვარება...





და იყო კაცი, რომელიც თავისთვის იყო და ყველას ეგონა, რომ არ იყო,  
იყო სამართლიანობა და უსამართლობა, იყო დაუნდობლობა და პატივბა,  
იყო მოკლული და მკვლეელი, იყო სისხვსე და სიცარიელეც იყო...

და ჩვენ ყველანი აქვე ვიყავით...

და იყო კაცი, რომელიც თავისთვის იყო და მასში შემოდიოდა  
ყველაფერი და ყოველი, რაც იყო და თავის კუთვნილ ადგილს იკავებდა  
მოკლული და მკვლეელი, შეურაცხყოფილი და შეურაცხმყოფელი, ჩრდილო-  
ეთი და აღმოსავლეთი, ნათელი და ბნელი, სიმორე და სიახლოვე, კანონი და  
უკანონობა, მზე, მთვარე და ვარსკვლავები...

შემოდიოდნენ და მოულოდნენ ერთმანეთს, ესაუბრებოდნენ და ურიგდებოდნენ ერთმანეთს... და მშვიდდებოდნენ...

დაბოლოს, შემოვიდა მასში სიკვდილი და თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრა...

ის კი იყო თავისთვის...



# מספרים וספרים



ერლომ ახვლედიანი, მწერალი და კინოდრამატურგი, დაიბადა თბილისში 1933 წელს. 1957 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1964 წელს კი უმაღლესი სასცენარო კურსები მოსკოვში. მისმა ლიტერატურულმა შემოქმედებამ სიახლე დანერგა ქართულ მწერლობაში.

1957-58 წლებში თავის მოთხრობებს ის ამბიციის გარეშე წერდა. საბჭოთა ლიტერატურა სულ სხვა ჟანრს მოითხოვდა, ამიტომ მოთხრობებს იშვიათად უბეჭდავდნენ ჟურნალებში. საბჭოთა პროპაგანდის ურჩ ლიტერატორებს მხოლოდ 70-იან წლებში მიეცათ ამოსუნთქვის საშუალება. იმ პერიოდში ერლომ ახვლედიანმა შეიძინა სტიკუსი საკულტო მწერლისა, რომლის ნაწარმოებებსაც მოახროვნე და ხელოვანი ხალხი ეტანება და საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა ქართულ ლიტერატურაში. შთაშვებდავია მისი ავტორობითა თუ თანაავტორობით გადაღებული ფილმების ჩამონათვალიც. არის სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

### წიგნები:

- „ზარმაცი თაგუნას ამბავი“, პროზა, პირველი გამოცემა, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1971
- „ვანო და ნიკო“, პროზა, პირველი და მეორე გამოცემა, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1986
- „ძველი და ახალი“, პროზა და წერილები, „დილის გაზეთი“, თბილისი, 2003
- „ვანო და ნიკო“, პროზა, მესამე გამოცემა, გამომცემლობა „Link“, თბილისი, 2005
- „კაცი, რომელმაც თავი დაკარგა“, პროზა, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „Link“, თბილისი, 2007
- „ზარმაცი თაგუნას ამბავი“, პროზა, პირველი გამოცემა, გამომცემლობა „Link“, თბილისი, 2007

### თარგმანები:

#### ნიდერლანდურად:

- „Vano en Niko“, გამომცემლობა „Voetnoot“, ამსტერდამი, 2003
- „De man die zijn hoofd verloor“, გამომცემლობა „Voetnoot“, ამსტერდამი,



2006

ნაწივები

რუსულ, სომხურ, ჩუხურ, გერმანულ, უნგრულ, და არაბულ ენებზე



13

ფილმები:

„აბრილი“, რეჟისორი ოთარ იოსელიანი (1961)

„ფირსმანი“, რეჟისორი გიორგი შენგელაია (1969)

„ივანე კოტორაშვილის ამბავი“, რეჟისორი ნოდარ მანაგაძე (1974)

„ამაღლება“, რეჟისორი ნოდარ მანაგაძე (1977)

„რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, რეჟისორი ლანა ლოლობერიძე (1979)

„არასერიოზული კაცი“, რეჟისორი დიმიტრი ბათიაშვილი (1980)

„ცხელი ზაფხულის სამი დღე“, რეჟისორი მერაბ კოკოჩიაშვილი (1981)

„ძნელი დისაწეისი“, რეჟისორი თენგიზ მაღალაშვილი (1981)

„გზა შინსაკენ“, რეჟისორი ალექსანდრე ჩუხვიაშვილი (1982)

„ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, რეჟისორი გიორგი შენგელაია (1984)

„ეი, მესტრო“, რეჟისორი ნოდარ მანაგაძე (1987)

„ერთაწმინდა“, რეჟისორი ზურაბ თუთბერიძე (1994)

## გამომცემლობა Link-ის სხვა მხატვრული გამოცემები

„პიპი“, იოკე ვან ლეუვენნი, ნიდერლანდები, 2003/99940-730-0-1  
ეს წიგნი პატარა და დიდი ადამიანებისთვის არის დაწერილი და ხელიდან გასაშვები არ არის. იგი ზომ პირველი თარგმანია ნიდერლანდური ენიდან. იოკეს ენა ორიგინალურია, მისი ილუსტრაციები ზოგჯერ ნამდვილ თავსატეხს წარმოადგენენ, რომლებშიც მრავალის აღმოჩენაა შესაძლებელი.

„ანუნსიაციები“, სტეფან ჰერტმანსი, ბელგია, 2003/99940-730-1-X  
ამ კრებულის სათაური ბიბლიიდანაა აღებული. ანუნსიაციის (ხარების) თემა ჰერტმანსის ლექსებში განვრცობილია და მოიცავს სხვადასხვა შეტყობინებას, მომავლის მოლოდინს, ახალ რეალობაში გადასვლას. კრებულის ცალკეული ლექსები გადასვლის საერთო მოტივით უკავშირდება ერთმანეთს: რაციონალურისა და გრძნობადის შეპირისპირებით ჰერტმანსი გამოხატავს იდეასა და ფორმის შორის არსებულ დაძაბულობას, რომლისგანაც თითქოს რაღაც უნდა იშვას. ფერწერაში ფართოდ გავრცელებული ხარების თემა ერთ-ერთ ეგზისტენციალურ მოტივად გასდევს კრებულს.

„თანამედროვე ქართული ლექსის ანთოლოგია 1990-2004“, მალხაზ ხარბელია, 2004/99940-730-3-6

116

როცა უკანასკნელი 10-15 წელიწადის პოეზიას გადავხედავ თვალს, ბუნებრივად გაჩნდება კითხვები: რამდენად სიცოცხლისუნარიანია ლექსი? როდის ბერდება ლექსი? ანდა რაზეა დამოკიდებული პოეზიის კმედიტობა? ანთოლოგია სწორედ ამის გარკვევაში უნდა დაგვეხმაროს.

„რბული ლექსები“, ზერიტ კომრეი, ნიდერლანდები, 2004/99940-730-2-8  
ზერიტ კომრეის ლექსი ფორმით ტრადიციულია, აზროვნების სტილით კი - უადრესად ნოვატორული. მისი პოეტიკა, მეტაფორული ხატწერა, გამოირჩევა თვითმყოფადი, ყველასგან განსხვავებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სტილით და ფილოსოფიური სიღრმით. მაგრამ ეს ყველაფერი მიიღწევა არა პოეტურობის გაწირვის ხარჯზე, არამედ სწორედ პოეტური ფრაზის შინაგანი დამუხტულობით. [ვახუშტი კოტეტიშვილი]



„ვანო და ნიკო“, ერლომ ახვლედიანი, 2005/99940-730-4-4

ერლომ ახვლედიანის (1933 წ.) „ვანო და ნიკო“ გახული საუკუნის 50-იან წლებში დაიწერა და დღემდე გრძელი გზა განვლო, იყო მწვერვალები და ჩაეარდნებიც. ამ გამოცემის მიზანია, მკითხველს დაუბრუნოს წიგნი, რომელიც მუდამ ფილოსოფოსების, მწერლებისა და ხელოვნების სხვა დარგებში მოღვაწე ადამიანთა შთაგონების წყარო იყო, რომელიც ფილმის სცენარად იქცა და მრავალ ენაზე ითარგმნა.

„სტაგისტები“, არნონ გრუნბერგი, ნიდერლანდები, 2006/99940-730-7-9

სტაგისტების გამირებისთვის ელვირა ლოპესისთვის, ბროკოლისა და ევალდ კრიგისთვის ბედნიერება პოლივუდში იწყება. მათ მსოფლიო დონის კინოვარსკვლავობა განუზრახავთ. ასეთია ოპერაცია ბრანდოს შთავარი ჩანაფიქრი, სურვილი, უფრო მეტიც, ოცნება. თუმცა, ოცნება ხომ ისაა, რაც არასოდეს ახდება. ნიდერლანდელი მწერალი არნონ გრუნბერგი (1971 წ.) 23 წლის იყო, როცა ფართო საზოგადოების წინაშე წარსდგა სკანდალური რომანით ცისფერი ორშაბათები (Blauwe maandagen, 1994). მისი დებიუტი მრავალ ენაზე ითარგმნა. სტაგისტები (Figuranten, 1997) კი, მისი მომღვენო რომანი, მარტო



ნიდერლანდებში 100 ათას ევრემპლარად გაიყიდა. ღღეს გრუნბერგის შემოქმედება, მისი სითამამე და სარკაზმი, მუდმივი სენსაციის წყაროა ლიტერატურულ წრეებში, არნონ გრუნბერგი ამჟამად ნიუ-იორკში ცხოვრობს და მოღვაწეობს.



წინამდებარე კრებული მოიცავს გასული საუკუნის 50-იან წლებში დაწერილ და აჭამდე გამოუქვეყნებულ მოთხრობებს, რომლებიც რამდენიმე „კაცისა“ და მათი თავგადასავლების შესახებ გვიამბობენ.

ამ მოთხრობებში კანონზომიერების შექმნა და აყენებს სამყაროს და გვაჩვენებს, რომ ყოველივე სხვანიარაღ ყოფილიყო.

საქართველოს ბიბლიოთეკის სისტემა



K 10.157/1

საქართველოს ბიბლიოთეკის სისტემა  
 კატალოგი  
 10.157/1  
 ლედიანი თავდაყირა  
 ლედიანი თავდაყირა

K 10.157/1

საქართველოს ბიბლიოთეკის სისტემა



link